საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 2 23 0000879503

13/07/2023

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 28 ივნისის №777600 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის" მე-3 მუხლს:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ანაზღაურება ხორციელდება ცენტრის დირექტორის შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში მითითებული კაც/დღეების რაოდენობის მიხედვით.”;

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისათვის ამ მუხლის 1^1 და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დღიური ანაზღაურება შეადგენს - 100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას ემატება 200 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).“;

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა